# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 24

"20" თებერვალი 2024 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა №28-ში არსებული 16.60 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა №28-ში არსებული 16.60 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 იანვრის №24.98.115 *განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების:* ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა №28, სართული 7, ბინა №72-ში არსებული 16.60 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზამირ ჯგერენაიასთვის (პ/ნ. 29001004828) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე